L-94
1928წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქტომბრელი



№ 12

ეროვნული ბიბლიოთეკა




1928
დეკემბერი

საქართველოს ა. კ. ო. ლენკ. ბიუროს და გან.
სახ. კომისარ. სოც. აღზ. მთავარმართველობის
ჟურნალი მცირეწლოვან ბავშვთათვის

წელიწადი I
№ 12

## შინაარსი.

1. **წარმოდგენა,**—გოგია ლომიძესი . . . . . . . . . . . . . 1
2. **ჩვენი კრება**—ლექსი მ. მიქელაძის . . . . . . . . . . . . . 6
3. **უშიშარი ვანო,**—სეზმანის . . . . . . . . . . . . . . . 8
4. **პირველი თოვლი,**—მარიქანის . . . . . . . . . . . . . . 15
5. **მშენებლები,**—ლექსი სიმონ ლეველის . . . . . . . . . . 16
6. **თუთიყუში,**—თარგ. ნ. უთურკაურის . . . . . . . . . . . 18
7. **ჩვენი გაზეთი:**—ა) ჩინეთის რევოლუცია, ბ) საიდან მოდის ჩვენთვის თევზის ქონი, გ) ჰაეროპლანის ქოლგა, დ) რკინის ჯიმი, ე) არაჩვეულებრივი ფორმა, ვ) ბავ-შები და შინაური ცხოველები, ზ) მე-9 შრ. სკოლის კოოპერატივი . . . . . . . . . . . . . . . . 21
8. **ჰაეროვანი,**—სასახლე—თარგ. ნარისა . . . . . . . . . . .
9. **გასართობი:** ეშმაკი თაგვი და ახსნა . . . . . . . . . . . 32

# 1929 წ.

**„ოქტომბრელი“ გამოვა მხოლოდ ხელისმომწერთათვის.**

**დააჩქარეთ ხელის მოწერა!**

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. ტფილისი, პლეხანოვის პროსპექტი, № 91.

შეკვეთა № 467 მთავლ. № 2135 ტირაჟი 1200

ლ-94.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# წარმოდგენა

(მოთხრობა)

გარეთ თოვს და ფიფქები ეთამაშებიან დედამიწას. ქარი ჰქვეტს თოვლს და ატრიალებს. ბუხრებიდან კვამლი ადის. ცივა, საშინლად ცივა.

— ადე, შვილო, — გააღვიძა დედამ ვანო და თავზე ხელი გადაუსვა. ვანომ კურდღელივით დააჭყიტა თვალები, ტიტლიკანა წამოხტა და მხიარული თვალებით დათოვლილ მიწას გახედა.

— უჰ, რა კარგია ეხლა გუნდაობა და ხრიალი! — წამოიძახა აღტაცებით.

ჩაიცვა სასწრაფოდ, დაიბანა პირი და გარეთ გაჰკურცხლა. იქ ამხანაგები შეგროვილიყვნენ, გუნდაობდნენ, ხრიალებდნენ და ერთი უზარმაზარი თოვლის კაცი გაეკეთებიათ, თავზე მაღალი ქუდი ეხურა. ვანოს გაუკვირდა და შეეკითხა:

— ეს ვინ არის?

— ეს ჩვენი მტერი, მდიდრების ინგლისია, — უპასუხეს ამხანაგებმა.

— ჩვენ მტრებს ასე გავატიალებთ, — წამოიძახა ვანომ და ჯოხი სახეში სთხლიშა თოვლის კაცს. ამხანაგებმაც მიჰბაძეს ვანოს და ინგლისი ერთ წამს გაანადგურეს.

— გაუმარჯოს ოქტომბრელებს! — იყვირა ილამ და ჰაერში წითელი ყელსახვევი ააფრიალა, მაგრამ ამ დროს მოისმა დედას ხმა, და ვანო სახლისაკენ გაიქცა, ჩაიცვა პალტო, აიღო აბგა და მხიარულად გასწია სკოლისაკენ. სკოლის ეზოში ბიჭები შეკრები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიუვენ და ჟრიამული გაჰქონდათ. ვანოც მათში ჩაერია, [illegible] დაობა გაჩაღდა. კუნდაობა ზარის ხმამ შესწყვიტა. მოწაფეები ჯგუფებისაკენ გაეშურნენ. ვანოც კუნტრუშით შეჰყვა ამხანაგებს. მასწავლებელი მოღიმარი სახით შეხვდა მოწაფეებს.

— თბოლაძე არჩილ, აბა, მიამბე გაკვეთილი!

არჩილი წამოდგა, თავი ჩაღუნა და წაიჩურჩულა:

— არ ვიცი.

— რატომ?

არჩილმა ტირილი დაიწყო.

— რათ ტირი, ბიჭუნი? მითხარი მართალი,—დაყვავებით უთხრა მასწავლებელმა.

— მე... მე...—დაიწყო სლოკინით,—წიგნი არა მქონდა.

— რატომ აქამდე არ მითხარი?

კლასი გაჩუმებული იყო, არჩილი კი თავჩაღუნული იდგა მასწავლებლის წინ.





ეროვნული ბიბლიოთეკა



— ამხანაგებო,—დაარღვია სიჩუმე ვანომ,—არჩილს სასწავლო წიგნები არა აქვს, უნდა დავეხმაროთ.

— ურჩად, ურჩად,—წამოიძახა სიხარულით მასწავლებელმა.

— ვაშააა!—იგრიალა კლასმა.

ვანო სიხარულით თვალებანთებული იდგა და იღიმებოდა.

გაკვეთილი გათავდა.

დასვენებაზე არჩილთან მივიდა ვანო და შეეკითხა:

— არჩილ, ოქტომბრელი ხარ?

— არა!

— რატომ?

მე არაფერი ვიცი ამის შესახებ.

— კარგი, მერე აგიხსნი,—უპასუხა ვანომ.—შენ ჩემთან მოდი და წიგნს მოგცემ.

გაკვეთილები გათავდა.

ჯგუფმა ვანოს დაავალა არჩილის დასახმარებლად რაიმე ღონისძიების გამონახვა.

ვანო დაფიქრებული დაბრუნდა შინ, მისი გონება ეხლა ვანოს მდგომარეობისკენ იყო მიპყრობილი, შინ კი არავის არაფერი შეა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მჩნევინა. მხოლოდ ჩვეულებრივ არ თამაშობდა და არც გარეთ გასულა საგუნდაოდ.

ღამე, როდესაც დაწვა, რაღაც მოიფიქრა და აღტაცებით წამოიძახა:

— კარგია, მშვენიერია! — და ლოგინში შეხტა.

— რა არის, შვილო, კარგი? — გაიკვირვა დედამ.

— არაფერი, დედი, სიზმარში ვიყავი.

გათენდა.

ვანო ჩვეულებრივზე ადრე მივიდა სკოლაში და პირდაპირ გამგესთან მივიდა.

— ოჰ, ოქტომბრელს გაუმარჯოს, ოქტომბრელს! — მიესალმა გამგე და მხარზე ხელი დაადო. — რაზე გარჯილხარ, ვანიკო?

— მე, ძია სერგო, დიდ საქმეზე უნდა მოგელაპარაკოთ.

— აბა, სთქვი.

ვანომ დაიწყო:

— ძია სერგო! ჩვენ ჯგუფში არის ერთი ძლიერ ღარიბი მოწაფე, არჩილ ობოლაძე; მამა არ ჰყავს, დედაც არ მუშაობს და გაჭირვებულნი არიან. ჩვენ კლუბში დავდგამთ წარმოდგენას და დავეხმარებით, — დაათავა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყოჩაღ, ყოჩაღ! შენ ნამდვილი ოქტომბრელი ყოფილხარ. აბა, შენ იცი, ჩვენც დაგეხმარებით.

*
* *

ქუჩაზე დიდი აფიშა იყო გაკრული:

„დღეს კლუბში გაიმართება წარმოდგენა ოქტომბრელების მონაწილეობით. საღამოს ხელმძღვანელი: ვანო ცხოვრებაძე“.

საღამოს კლუბი ელნათურებით და წითელი ქაღალდებით იყო მორთული. კლუბი ხალხით გაივსო. გაისმა მესამე ზარი, ფერადი ფარდა ნელ-ნელა ავიდა ზევით, და გამოჩნდა ოქტომბრელთა ცქრიალა სახეები.

წარმოდგენა დიდი სიხალისით და სიცოცხლით ჩატარდა, და მქუხარე ტაშმა ააზრიალა დარბაზი. მერე შესრულებულ იქნა რევოლუციონური სიმღერები და ცეკვა.

საღამოს 9 საათზე გათავდა წარმოდგენა, ხალხი ძლიერ კმაყოფილი დაბრუნდა შინ.



მეორე დღეს ოქტომბრელებმა არჩილს წიგნები, ქუდი და პალტო უყიდეს. არჩილის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა და ხელში კოლექტივისგან მოცემულ წითელ ყელსახვევს აფრიალებდა.

გოგი ლომიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი კრება



ჩვენს ნოლ ჯგუფში გუშინ დილით
დიდი კრება გაიმართა.
კენჭი ვყარეთ,. დავავალეთ
დაეთვალა ხმები მართას.
ავირჩიეთ ყველამ ერთხმად
მდივანი და თავმჯდომარე:
მდივნად ნოდარს ვასახელებთ,
თავმჯდომარედ დავსვით მარი.
დღის წესრიგში დავაყენეთ:
მოვსპოთ ჩხუბი და დაობა,
სხვის ნივთების გაფუჭება,
ქიშპობა და ჭიდაობა.
მოხსენება ამ საგანზე
გააკეთა ჩვენმა ვერამ,
მაგრამ როცა მდივან ნოდარს
ოქმი უნდა დაეწერა,—

ის უეცრად აგვიტირდა:
არ სცოდნოდა წერა-კითხვა!
ბანი მისცა თავმჯდომარემ—
დაავიწყდა, თურმე, სიტყვა!
ჩაიფუშა ჩვენი კრება,
საქმე არის ასე რაკი
(მდივანს წერა არ სცოდნია,
თავმჯდომარეს—ლაპარაკი!)
მაგრამ, ბევრი ფიქრის შემდეგ,
საქმე ასე მოვაგვარეთ:
ჩვენი მარი დავსვით მდივნად,
და ნოდარი თავმჯდომარედ.
დავადგინეთ: თვით დავიცვათ
სიწყნარე და სისუფთავე,
და როდესაც კრებას მოვრჩით
ყველამ ერთად ვიბურთავეთ.

მ. მიქელაძე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



# უშიშარი ვანო.

მზე უკვე გადაიწვერა ქედის იქით, როცა ვანოს მამამ, გიგამ, დაბაში მოათავა თავისი საქმე, კოოპერატივს ჩააბარა თავისი მოსავალი გასასაღებლად და, რაც ოჯახისთვის საჭირო საქონელი უნდოდა, გამოართვა და დაუწყო ურემს...

ვანოც თან ახლდა მამას და მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მამამ რომ აქ ახალი ჩუსტები უყიდა, მალ-მალ ითვალიერებდა ფეხებზე...

— ხვალ ახალი ჩუსტებით წავალ, მამილო, სკოლაში!—უთხრა გახარებულმა და ურმის კოფოზე ავიდა, სახრე გადაჰკრა ღვინიას, რომელიც ზანტად იცოხნიდა აქამდე.

აჭრიალდა ურემი, და გაუდგენ სოფლის გზას.

— ოღონდაც კარგად ისწავლე, შვილო, ოღონდაც კაი კაცი გამოდი და ჩვენი სოფლისთვის, მშრომელი გლეხკაცობისთვის სასარგებლო, და მაგნაირ ახალ-ახალ ფეხსაცმელს მე არ მოგაკლებ!..—მიუგო გახარებულმა გიგამ თავის ერთადერთ შვილს, პატარა ვანოს, და ურემს გვერდზე აედევნა...

შემოდგომის ქარი ქროდა, ხეებიდან გაცვენილ გაყვითლებულ ფოთლებს ჰაერში ანიავებდა და სადღაც შორს მიაქანებდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგა ღრუბელთა ქარავნები გველებივით გაწოლილიყვნენ ცაზე... შორით ისმოდა მდინარის შხუილი...

ციოდა...

ურმის ჭრიალში ისმოდა კოფოზე მჯდარ გახარებულ ვანოს წკრიალა სიმღერა, რაიც სასიამოდ ეფინებოდა არემარეს...

გიგა დაფიქრებული მიჰყვებოდა ურემს გვერდზე და ფიქრობდა მომავალ დღეებზე...

ერთგული მურია, რომელსაც ენა გადმოეგდო, ხან წინ გაუთამაშებდა ურემს და ხან უკან ჩამორჩებოდა და ისე მოსდევდა, კარგი დარაჯივით...

გიგა იყო ობლად აღზრდილი, ამ სოფლის მდიდარი გლეხის, ბობოლა კაკოლას, მოჯამაგირეობაში; და რა დავაჟკაცდა, ამ ხანებში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებაც დამყარდა; ერთ ღარიბეს გლეხს ჩაესიძა, და მისი ერთადერთი შვილიც ვანო იყო; ეს ბავში ყველას საყვარელი იყო ოჯახში და სკოლაშიც საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა...

გიგა ამ სოფელში საბჭოთა ხელისუფლების საუკეთესო დამცველად ითვლებოდა, რომელმაც ის გამოიყვანა გაჭირვებიდან, უმამულოს მისცა მიწა და სავენახე; ის ითვლებოდა მოწინავე პირად, და სოფლის არასასურველი პირები გადაეკიდენ მას: გიგა ღარიბეს გლეხობას და საშუალოებს მოუწოდებდა შეექმნათ კოლექტიური მეურნეობა, დაეარსებინათ კომუნა და თავი დაეღწიათ გაჭირვებიდან, რაიც არ იყო შეძლებული გლეხებისთვის სასურველი და ცდილობდენ გიგას თავიდან მოშორებას. კულაკი*) კაკოლა თავის ნამოჯამაგირალს უფრო მაშინ გადაეკიდა, როცა გიგამ მოუწოდა სოფელს არ აერჩიათ ის საბჭოში და კიდევ იმიტომ, რომ კომუნის შექმნით მას ხელიდან ეცლებოდა უამრავი ღარიბი გლეხობა, რომელსაც ის ამუშავებდა თავის მამულში თითქმის უფასოდ, გასესხებული ფულის სარგებელში, მევახშეობით; მედუქნე

*) კულაკი—მდიდარი გლეხია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუცა გადაეკიდა იმისთვის, რომ გიგა ურჩევდა სოფელს კოოპერატივის გახსნას, რითაც გუცას უსპობდა ჩარჩობის საშუალებას; მღვდელი ონოფრე ვერ ინელებდა გიგას, რადგანაც ის ანტირელიგიურ კამპანიას ატარებდა სოფლად, და მკითხავი სალომე კი იმისთვის, რომ გიგა ამხელდა მის მატყუარობას, ექიმბაშობას და ემუქრებოდა სოფლიდან გადასახლებას...

ამას ყველაფერს ხედავდა პატარა ვანო და გონებით ცქვიტი და მახვილი ბავში ინერგავდა გულში მამის დარიგებას:

— შენა, შვილო, ეხლა ჯერ პატარა ხარ, რამდენიმე წლის შემდეგ გახდები კომკავშირელი. შენ აქედანვე უნდა იცოდე, რაც უნდა იყო ბოლოს და რა დროს რა მოვალეობა გექნება; მე რომ ობლობა და გაჭირვება გამომიცდია ძველ დროს, ის შენ აღარ მოგელის, რადგანაც ეხლა ახალი ხანაა, მუშათა და გლეხთა დრო... ეხლა შენ სრული შესაძლებლობა გაქვს კარგი და ნასწავლი კაცი გამოხვიდე და, ვინძლო, აბა, არ შემარცხვინო...—ეტყოდა ხოლმე ის.

უკვე დაბინდდა, როცა ურემი შეჭრიალდა სოფლის ორღობეში, და გიგაც ისევ შვილის სწავლება-დარიგებაში იყო, რომ ყაბალახით პირახვეული ორი ვიღაცა უცნობი გადმოხტა ღობეზე და დასჭყივლეს შეცვლილი ხმით:

— შესდექ! არ გაინძრეთ!..

ამ სიტყვებთან ერთად იშიშვლეს ხანჯლები. ერთი მათგანი წინ გადაუდგა ხარებს, და მეორემ გიგას შეუტია, რომელსაც ხელში სახრის მეტი არა ჰქონდა-რა.

ვანომ შიშისაგან შეჰყვირა, მაგრამ როცა ნახა, რომ მამამ მოხერხებულად ქვეშ ამოიდო ღონიერი მკლავებით თავდამცემი, სახრით ხანჯალი გააგდებინა, სიხარულით შესძახა:

— დაჰკა, მამი!..

ვერ მოასწრო მან ამ სიტყვის დამთავრება, რომ მეორე თავდამცემი ეცა მის მამას და ხანჯლით რამდენიმე ადგილას დასჭრა;

ეროვნული ბიბლიოთეკა



სისხლმა შადრევანივით იხეთქა და ღონემიხდილი გიგა ფეხზე ვეღარ წამოდგა.

— შვილო, არ დაგავიწყდეს... ეს-ღა უთხრა, მაგრამ ვანოს არ გაუგონია, რადგანაც მან, გამწარებულმა, რომ მამას უკლავდენ, ისკუპა ურმიდან და სწორედ იმ დროს ჩააფრინდა კბილებით ხელში და ჩამოეკონწიალა მკლავზე თავდამცემს, როცა მას უკანასკნელად მოქნეული ხანჯლით ბოლო უნდა მოეღო გიგასთვის...

ბევრი იბრძოლა სიმწრისაგან გაბოროტებულმა თავდამცემმა, აქეთ-იქით ახალა ბიჭი, მაგრამ ვერ მოიცილა; ამასობაში უკანიდან მურია ებღლვნა და შემოაფლითა ყველაფერი; მისი ყეფა სოფლის ბოლოს ისმოდა...

— ადე, რაღა, რას დაგდებულხარ!? მიშველე!!!—უყვირა მან ამხანაგს, რომელიც ისე მაგრა დაეცა გიგას მირს, რომ ძლივს წამოდგა ფეხზე და გაქანდა დასახმარებლად, მაგრამ მურია ახლა მას ეცა...

— დაჰკა ხანჯალი და ბარემ მოუღე მაგ ბავშსაც ბოლო, ეგეც ხომ მაგისი ლეკვია!..—შემოსძახა მან ვანოზე, მაგრამ მურია ისე უტევდა, რომ დაიბნა, გაიქცა...

მეორემ მძლავრად მოიქნია ვანო და რუში გადაჩეხა, მივარდა, მაგრამ ვანო ურემ ქვეშ შემძვრა და აღმართული ხანჯალი გოგორას

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინის სალტეს მოხვდა, ნაპერწკლები დაიკვესა, და რა დაიკუზა, რომ გამოეთრია ბავში, კვლავ დიდი სიკაპასით ეძგერა უკან მოსული მურია; გაჩაღდა კვლავ ბრძოლა, მაგრამ თავდამცემის ხანჯლისაგან საცოდავად დაიწკმუტუნა ძაღლმა და გიგას ახლოს მიწვა მკვდარი...

ბევრი აღარ უფიქრია თავდამცემს, რა დარწმუნდა, რომ გიგა აღარა დგებოდა და მკვდარი ეგონა, ბავში კი ვეღარ ნახა, რამდენიმე ნავაჭრს, ფართალს, დაავლო ხელი და გაქრა...

მთვარის შუქზე, რომელიც მკრთალად სწვდებოდა ორღობეში, მოჩანდა, პატარა ბიჭი როგორ ჰბანდა ჭრილობას მამას იქვე ღობესთან მოლიკლიკე რუის წყლით და ასულიერებდა...

— მამა, ეს მე ვარ... ადე... ისინი აღარ არიან...—ეუბნებოდა ის და თან ნამტირალევ თვალებს აცეცებდა ირგვლივ, ვაი თუ კიდევ დაგვეცნო...

გიგამ თვალები გაალო, შეანათა ბავშს და გაუღიმა, თუმცა მტუობდა, რომ ჭრილობები ძალიან აწუხებდა. ის ვერა დგებოდა...

როგორც იქნა, ვანოს დახმარებით ავიდა გამარცულ ურემზე...

— ჰმ... გაგვმარცვეს?!—ამოიკვნესა მან მწარედ და გრძნობა ისევ დაკარგა.

დამწუხრებულმა ვანომ ერთი კიდევ გადახედა მოკლულ ერთგულ ძაღლს, დაჯდა კოფოზე და გარეკა ხარები...

მთელი სოფელი ფეხზე დადგა ამ ამბით...

იმ ღამესვე ამოიყვანეს დაბიდან ექიმი და თავზე დააყენეს გიგას, რომელსაც ცოლი დასტრიალებდა თავს; ვანოს კი აღმასკომის თავმჯდომარე ეკითხებოდა მომხდარ ამბავზე...

— მაშ ვერ იცანი, ჩემო პატარავ, ვერცერთი მათგანი?

— ვერა, ძია, ყაბალახებით ჰქონდათ სახე ახვეული... მაგრამ ერთს კი ჩემი ნაკბილარი ალბათ დიდხანს დააჩნდება მაჯაზე...— მიუგო ვანომ და უამბო, როგორ მოხდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქ გამართვა განგებაა მოწყობილი, რომ მკვლელობის ნამდვილი მიზეზი დაეფარათ... მე თითქოს ვხვდები ნამდვილ მიზეზს...—წარმოსთქვა თავმჯდომარემ, დააიმედა ოჯახი, მოსულიერებული გიგა, ექიმს მადლობა უთხრა, რომელმაც უთხრა, რომ არც ერთი ჭრილობა სასიკვდილო არ არის და კარგი მოვლა მალე ფეხზე დააყენებსო, ვანოს თავზე ხელი გადაუსვა, შეაქო მისი ყოჩაღობა, თავგანწირვა და გავიდა.

— აა, კაკოლას სალამი!..—უთხრა საბჭოს თავმჯდომარემ ამ სოფლის კულაკს, მეორე დილას რომ შეხვდა წყაროზე, და ხელი გაუწოდა...

— აი, გაგიმარჯოს, კოტე!..—მიუგო მან და ხელი გაუწოდა; ერთი მხრით გაუხარდა, რომ თავმჯდომარე პირველად მიესალმა მას ეხლა მხიარულად, მაგრამ თავმჯდომარემ რომ ხელი აღარ გაუშვა, კარგად დააცქერდა და მერე თვალი თვალში გაუყარა, მაშინ კი ფერი ეცვალა...

— ეს რა არის, კაკოლი? მაჯაზე ნაკბილარი? დალურჯებული?!—შეეკითხა ის, შეამჩნია რა მას მაჯაზე ასეთი ნიშნები.

— ჰო... ეს... გუშინწინ ვენახს ზეიდან რომ ლურსმნიან მავთულს ვავლებდი, მაშინ გამეფხაჭნა და... და დაიბნა კაკოლა.

— თუ წუხელის ორღობეში გიგას რომ დაეცით და დასჭერით, მაშინ ნაკავლო კბილები გამწარებულმა ბავშმა?!—შეუტია თავმჯდომარემ...

უარის თქმა ძნელი-ღა იყო, მით უმეტეს, რომ, როცა ტანზე გახადეს, აქა-იქ მურიას ნაკბენიც აღმოაჩნდა.

— ვინ იყო შენი ამხანაგი?

— მედუქნე გუცა...

— გატაცებული საქონელი რა უყავით?

— მღვდელს მივაბარეთ...

და სოფელმა, რომელსაც მათი ჩაქვავების უფლება არ მისცეს, მოითხოვა მათი აქედან აყრა და სასტიკად დასჯა კანონის მიერ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



როცა ისინი დაპატიმრებულნი სამაზრო ქალაქისკენ მიჰყავდათ, რომელთაც ზედ მიაყოლეს მათი ხელის შემწყობი მკითხავი სალომეც, სოფლის პატარა გორაკზე გადმომდგარიყო ვანო და პატარა მუშტებით ემუქრებოდა.

— მაცალეთ, ჯერ გავიზარდო, მე გაჩვენებთ თქვენ!.. თქვე ბინძურებო!..

— ხომ გითხარი, ეგ ლეკვიც ზედ დააკალი მეთქი მამას? მაშინ ხომ არც ჩავცვივდებოდით...— გადაუჩურჩულა გუცამ კაკოლას კბილების კრაჭუნით..

მთელი სოფელი ლაპარაკობდა პატარა ვანოს სიყოჩაღეზე.

**სეზმან.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პირველი თოვლი.

აი, ეხლა გაიხედე,
ზამთარს პირი უჩანს:
თოვლით არის მოფენილი
სახლი, ეზო, ქუჩა.
მიხარია, რა კარგია:
თეთრი თოვლი ბრწყინავს!
დღეს პირველი თოვლი მოდის
და საკმაოდ ჰყინავს!
მაშ სკოლისკენ! ხელში ჩანთა!
სწავლა მოვათაოთ
და ფაფუკი თეთრი თოვლით
კარგად ვიგუნდაოთ!

**მარიჯან.**

# მხატვრები



ვანო ფიქრობს: ,,გავიზრდები,
მეც წავბაძავ დიდებს,
ინჟინერი შევიქნები,
გავაკეთებ ხიდებს;
გავაკეთებ დიდ ქარხანას,
დავდგამ დიდრონ სახლებს,
შიგ ექნებათ ბინა მშრომელთ,
სხვა ხელს ვერვინ ახლებს‘‘.
ფიქრობს ვანო და რვეულში
სახლს და ხიდებს ხატავს,
და გარეთ კი ცივი ქარი
თოვლის ფიფქებს ფანტავს.
ზამთარია, მაგრამ მიხა
თოვლს არ აგუნდავებს;
ოთახში ზის და მაკრატლით
სჭრის ქაღალდის ნავებს.
ნავზე ხატავს მეზღვაურებს,
ხატავს ზედ კაპიტანს
და ზარბაზნებს,—ვერაგ მტერზე
იერიშის მიმტანს.
თუმცა ნავი პატარაა—
გამოდგება გემად,
საბჭოების მტრებზე შიშის
ზარის დასაცემად.
მიხას უნდა ერთადერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ნატვრა ახდეს
და, როდესაც გაიზრდება,
მეზღვაური გახდეს,
ოთარიკო,—სულ პატარა,
ვერ კითხულობს ჯერა,
მხოლოდ წიგნში სურათების
უყვარს ხოლმე ცქერა.
და როდესაც იქ დახატულ
ჰაეროპლანს უცქერს,—
ფიქრს ეძლევა და თან გული
სხვანაირად უძგერს.
და ჯერ თუმცა სულ ნორჩია:
ვერც კი იდგამს ენას,—
ცის ლაჟვარდებს გულს გაუპობს
და დაიწყებს ფრენას.

**სიმონ წეველი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# თუთიყუში.

თუთიყუშები აფრიკის ტყეებში ცხოვრობენ. აფრიკის ტყეები სრულიად არ გვანან ჩვენს ტყეებს; ჩვენი ტყეები მოფენილია მუხით და წიფელით, იქ კი უშველებელი პალმები იზდება. ლიანები შემოხვევიან ხეებს და ძირსაც ეშვებიან. ბანანი, ინდიხურმა და ნიგოზი იქ მწიფდება მზეზე, ასე რომ თუთიყუშებს საჭმელი აქვთ.

ერთხელ მოენატრათ თუთიყუშებს სიმინდი. მოგროვდენ და გაფრინდენ სიმინდის მინდორში; დააყენეს გუშაგები და დაიწყეს თავისი მოღუნული ნისკარტით სიმინდის ჭამა. სიჩუმე იყო, გუშაგნი დიდი სიფრთხილით იხედებოდენ ირგვლივ, რომ არავინ მიჰპარვოდა მათ.

უეცრად მოშორებით გამოჩნდა ადამიანი. გუშაგებმა ასტეხეს განგაში და აცნობეს თავის ამხანაგებს, რომ ისინი განსაცდელში არიან. თუთიყუშები გაფრინდენ ტყეში. როდესაც ისინი მიუახლოვდენ თავის ბუდეებს, რომლებიც ხის ფუღუროებში იყო, საშინელი ყვირილი ასტეხეს, რადგანაც შიგ ბარტყები არ დახვდათ.

მაშინ, როდესაც თუთიყუშები გაფრინდენ სიმინდის მინდორში, ტყეში მოვიდა პატარა ზანგი კალათით ხელში, იპოვნა ბუდე, შეჰყო ხელი, სადაც იყვნენ თუთიყუშის ბარტყები. ერთმა ბარტყმა წააგლო

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნისკარტი თითში. ხანგმა გამოიყვანა ბუდიდან და ჩაისვა კალათში. შემდეგ ისევ შეჰყო ხელი და გამოიყვანა მეორე ბარტყი, შემდეგ მესამე და ამნაირად გაავსო კალათი ბარტყებით. წაიღო სოფელში, მიიყვანა თავის სახლში და მისცა საჭმელი. ბარტყებს არ შეეძლოთ გაფრენა, რადგანაც მათ არ ჰქონდათ ჯერ ფრთები. როცა ფრთები გაეზარდათ, ისინი უკვე იმდენად შეეჩვიენ თავის პატრონს, რომ, თუ გაფრინდებოდენ სადმე, ისევ უკან უბრუნდებოდენ.

ერთხელ პატარა ხანგმა გამოარჩია ლამაზი თუთიყუშები, ჩასვა კალათში და წაიღო ზღვის პირას, სადაც იდგენ უცხოეთის გემები—იტალიის, გერმანეთის და საფრანგეთის. მეზღვაურებმა იყიდეს თუთიყუშები და წაიყვანეს. რუსის მეზღვაურებმა რუსეთში წაიყვანეს; რამდენიმე თუთიყუში მოხვდა მოსკოვის ზოობაღში, სადაც დღემდე ცხოვრობენ. ზოგმა მათგანმა ლაპარაკი ისწავლა.



,,თუთიყუშს ჩაი უნდა''—ამბობს ერთი.

მეორე სთხოვს მამას თავის მოფხანას; როდესაც ჰკითხავენ:

,,სად მოგფხანო''? ის იდებს თათს თავზე და უპასუხებს: ,,აქ''.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თუთიყუშები აფრიკის გარდა ამერიკაში და ავსტრალიაში ცხოვრობენ.

ყველაზე ლამაზი თუთიყუშია ამერიკული „არა“. ეს თუთიყუშები არიან წითელი, ლურჯი და მწვანე, გრძელი კუდი აქვთ. ავსტრალიაში ცხოვრობს თეთრი „კაკადუ“. როდესაც „კაკადუ“ ჯავრობს, ის ველურად ყვირის, ფრთებს მაღლა სწევს და მაშინ შეგვიძლია შევამჩნიოთ, რომ მას ფრთების ქვეშ კიდევ აქვს ვარდისფერი, წითელი ან ყვითელი ნაზი ბუმბული.

ყველაზე ჭკვიანია აფრიკის თუთიყუში „ჟაკო“. ამ ჯიშის თუთიყუში ნაცრისფერია და არაა ისეთი ლამაზი, როგორიც „არა“ და „კაკადუ“, სამაგიეროდ ძლიერ ჩქარა ეჩვევა ადამიანს და სწავლობს ლაპარაკს.

თარგ. **ნინო უთურგაურის.**

ეროვნული ბიბლიოთეკა




## ჩინეთის რევოლუცია.



ჩინეთის ქალაქებსა და სოფლებში ძლიერ ღელავენ მშრომელნი. მთელი მაზრები აჯანყდა, პროვინციაში ხალხი ადსდგა. იმ რაიონებში, სადაც აჯანყება ხდება, მთავრობა დამსჯელ ექსპედიციას ჰგზავნის. „დამსჯელნი“ თავის ძალას იჩენენ და სასტიკად სჯიან დამნაშავეებს: სჭრიან მათ თავებს, სწვავენ სახლებს და ანადგურებენ ყანებს.

სამ აგვისტოს არის „მოწყალების ღმერთის“ კუან-ინის დაბადების დღე. საერთოდ ამ დღეს ქალაქი ცალიერდება, მუშაობა სწყდება, სადღესასწაულო პროცესია მიდის ტბისკენ.

უეცრად ქალაქში ხმა გავარდა, რომ კომუნისტები აჯანყებას აპირებენ; პოლიციამ მიიღო ზომები: ქუჩებში გამოჩნდენ პატრულები, გამოცხადდა სამხედრო წესი.

ტბისაკენ არცერთი პროცესია არ გაუშვეს.

დადგა 3 აგვისტო. დილიდანვე საშინელი წვიმა დაიწყო, რომელიც შუაღამემდე არ გაჩერებულა. გარეთ გამოსვლა არავის არ შეეძლო ასეთ წვიმაში. არავითარი აჯანყება არ მომხდარა.

ჩინეთი ღელავს. ყოველ კუთხეში კომუნისტების ხელმძღვანელობით არსდება რაზმები. ქუჩებში გამოაკრეს წითელი გვარდიის პროკლამაციები, იმართება მუშათა მიტინგები, სადაც არწმუნებენ ხალხს, რომ თავის გადასარჩენად აუცილებლად საჭიროა აჯანყება.

### საიდან მოდის ჩვენთვის თევზის ქონი.

კარგია თევზის ქონი. დალევ ერთ კოვზს, დაატან ცოტა შავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პურს, ცოტა მჟავე კიტრის ნაჭერს და მაშინვე ჭამის მადა მოგივა.

მაგრამ ვინ იცის, აბა როგორ შოულობენ თევზის ქონს? საიდან მოაქვთ?

ქარხანაში თევზის ღვიძლისაგან გამოწურეს თევზის ქონი. ღვიძლი კი „ტრესკა" თევზისაგან ამოიღეს. თვითონ ტრესკა შორეულ ჩრდილოეთში, მურმანის ნაპირებთან არის ძალიან ბევრი, იქ კი შორიდან, ატლანტის ოკეანედან მოვიდა.



ტრესკას იჭერენ.

 აი როგორ მოხდა ეს: დეკემბერში, როდესაც ამ თევზს საჭმელი დააკლდა, ოკეანედან დაიძრა ტრესკას უზარმაზარი გუნდები და გასწია ჩრდილოეთისაკენ, ყინულოვანი ოკეანესაკენ. მთელი ზამთრის განმავლობაში მოგზაურობდენ ეს თევზები და მხოლოდ გაზაფხულზე მიაღწიეს მურმანის ნაპირებს. ისინი გამხდარი, მშიერი და გაუმაძღარი იყვნენ! და სწორედ



დაჭერილ თევზს კასრებში აწყობენ.

აქ დაუდგათ განცხრომის დღეები. დასცურავს ტრესკა და მიირთმევს, რამდენიც უნდა, საუზმობს პატარა თევზებით, სადილობს ზღვის ზღარბებით, ვახშმობს ზღვის ვარსკვლავებით. გაძღა, გასუქდა ტრესკა, ღვიძლი გაუდიდდა, ქონით გაივსო.

სწორედ ამ დროს დაიჭირეს ტრესკა. გამოვიდა ზღვაში დიდი გემი. (აი აქ არის დახატული იალქნებიან ნავთან ერთად). ჩაუშვეს ამ გემიდან ფოლადის ბაწრებით დიდი, განიერი ბადე, ჩაუშვეს ღრმად, 50 მეტრის სიღრმეზე, ზღვაში და გასწიეს. მიდის გემი, მიათრევს ბადეს, და თევზი ებმება შიგ.

ამოიყვანეს დაჭერილი თევზები, გამოშიგნეს, ღვიძლისაგან თევზის ქონი გამოწურეს, თევზი დაამარილეს, ჩააწყეს კასრებში და რკინის გზით ჩვენსკენ გამოგზავნეს.

ეროვნული

## აეროპლანის ქოლგა

ჰაერში ფრენა უბედურ შემთხვევებისაგან ჯერჯერობით არაა მთლიანად უზრუნველყოფილი და



ქოლგიანი აეროპლანი.

ეს გაითვალისწინა თანამედროვე ტექნიკამ.

ეხლახან გერმანიაში გამოიგონეს ისეთი საშუალება („პარაშიუტი“), რაიც, თუ ვინიცობაა აეროპლანს უბედურება შეემთხვა და დაღუპვა აუცილებლად ელის, ჰაერში ქოლგასავით გაიშლება თავისით, და როგორც აეროპლანი, ისე მფრინავი და მგზავრები ნელა დაეშვებიან ძირს, უვნებლად.

## რკინის ჯიმი.

ერთხელ ერთი გაბრაზებული ამერიკელი შევიდა თამბაქოს მაღაზიაში. იქ დახლის უკან იდგა მაღალი და ძლიერ ლამაზი გამყიდველი.

— რა გნებავთ ?—ჰკითხა გამყიდველმა და გაუშვირა ხელი.

— გავანის ორი ს[illegible]სუხა გაჯავრებულმა ამერიკელმა და დაუდო ხელისგულზე ვერცხლის მანეთიანი. გამყიდველმა მოუჭირა მანეთიანს მაგრად ხელი და სწრაფად მიტრიალდა თაროსკენ, სტაცა ხელი დასტა სიგარას, ისევ სწრაფად მოტრიალდა და მიაწოდა დასტა მყიდველს.

— ეს ის არაა!—გაჯავრდა მყიდველი.—მე გთხოვეთ ორი სიგარა, და არა მთელი დასტა.

გამყიდველი ჩუმად აწყობდა სიგარას.

— დაყრუვდით? ეს არაა.

გამყიდველი ჩუმად იდგა.

— მე თქვენ გეუბნებით!.. დაყრუვდით?

გამყიდველი ჩუმად არის.

მყიდველი გაცოფდა, გამოგლიჯა გამყიდველს სიგარა და ისროლა დახლზე.

— ეს ის არაა, არა!—შეჰყვირა მან.

— გმადლობთ, რომ გვინახულეთ,—უპასუხა გამყიდველმა,—კიდევ შემოიარეთ. ნახვამდე.

მყიდველი ძლიერ გაჯავრდა და ჩაარტყა ხელი გამყიდველს გულში.

გამყიდველი შეინძრა და აგუგუნდა, მყიდველმა კი დაიღრიალა, საშინელი ტკივილი იგრძნო ხელში.

გამყიდველს გული რკინასავით მაგარი ჰქონდა.

— აქ რა ამბავია?—იკითხა ვილაცამ წყნარად.

მყიდველმა მიიხედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარებში მაღაზიის პატრონი იდგა..

— ნუთუ თქვენ ეჩხუბეთ რკინის ჯიმს?—ჰკითხა მაღაზიის პატრონმა.

— ვისა?

— რკინის ჯიმს. ჩვენ მას ასე ვეძახით, თუმცა უფრო სწორი იქნებოდა „ფოლადის ჯიმი“ დაგვერქმია.

თქვენ კი გეგონათ, რომ ის ცოცხალია? არა, ის ავტომატია. თქვენ არ წაგიკითხავთ განცხადება კარზე?

კარს აწერია:

> საქონელს ჰყიდის ავტომატი, რკინის ჯიმი. აიღეთ სალაროში ჩეკი, მიეცით ჯიმს და უცადეთ.

მე ცოტა ხნით გაველი და თქვენ კი მოასწარით წაჩხუბება. ჯიმის ბრალი კი არაა, რადგანაც თქვენ მიგიციათ მისთვის ერთი—ცალის სიგარის ღირებულება და არა მარტო ორი ცალის. მართალია, იგი კარგი ყმაწვილია, მაგრამ თავში არა უყრია რა.

მყიდველმა წაავლო ყურში ხელი და მოაძრო თავი; მართლაც, შიგ არაფერი ეყარა, მხოლოდ ყელში ჯიმს ჰქონდა ფონოგრაფი, რომელიც ლაპარაკობდა მის მაგივრად.

ამჟამად ამერიკაში არსებობს მთელი ფაბრიკა, სადაც ავტომატებს აკეთებენ—გამყიდველებს, მეკარეებს, დარაჯებს და სხ.

ამერიკელებს მოსწონთ ავტომატები, რადგანაც ისინი წყნარად მსახურობენ, არც მომატებას ითხოვენ და არც გაფიცვაზე ფიქრობენ. მაგრამ შეიძლება გაიფიცონ ის მუშები, რომლებიც ამ ავტომატებს აკეთებენ.

## არაჩვეულებრივი ფერმა

ორმა ახალგაზრდა ამერიკელმა კალიფორნიაში (ჩრდილო ამერიკა) არაჩვეულებრივი ფერმა მოაწყო: ძროხების მაგივრად ამ ფერმაში საშინელი შხამიანი გველები ჰყავდათ.



გველების ფერმის პატრონები ძლიერ ზრუნავდენ თავის გველებზე, კარგად უვლიდენ და რძეს ასმევდენ. მათ ჰქონდათ სპეციალური მოწყობილობა, რის საშუალებითაც ისინი გველის კბილებიდან იღებდენ შხამს (რაც დიდი სიფრთხილით კეთდებოდა) და აკეთებდენ შრატს. შრატი ერთადერთი წამალია, რომელიც არჩენს გველის მიერ დაკბენილს.

აქედან ჩანს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს გველების ფერმას, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ბევრი გველია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ბავშები და შინაური ცხოველები.

ბავშებს ძალიან უყვართ ძაღლი და კატა და ხშირად ნახავთ, რომ ეალერსებიან, იხუტებენ გულში, ჰკოცნიან და აჭმევენ კიდევაც საჭმელს თავისი თეფშიდან და ის კი არ იციან, თუ რა დიდი და



საშინელი სენი შეიძლება ამის გამო გაუჩნდეს პატარებს. ყველაზე ადვილად ძაღლისაგან შეიძლება გადაედვას ბავშს ღერი და ქია. ღერი საშინელი ავადმყოფობაა. ბავშს გაუჩნდება თავზე მუწუკები, თმები გასცვივდება და თუ არ იაქიმა, შეიძლება სამუდამოდ ქაჩალი გახდეს. საშინელი ავადმყოფობა აგრეთვე ქია და ძალიან ადვილადაც ედება ბავშებს. ხანდახან ისე ბევრი ქია უჩნდება, რომ აქიმობაც კი ვერ იხსნის ბავშს სიკვდილისაგან, მაგრამ ყველაზე უფრო საშიში სნეულება, რომელიც ძაღლისაგან ედება ბავშს, არის ეხინოკოკი. ეხინოკოკის ექიმობა მხოლოდ ოპერაციის საშვალებით შეიძლება, მაგრამ ხშირად ვერც ოპერაცია იხსნის ბავშს.



სიქაჩლით დაავადებული ბავშის თავი.

ცხოველების სიყვარული და მოვლა კარგია, თუ ადამიანს შეუძლია სისუფთავე დაიცვას, თუ ავად გახდა ცხოველი, მაშინვე უაქიმოს. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ძაღლის და კატის თავის ლოგინში დაწვენა, კოცნა და თავის თეფშიდან საჭმელის ჭმევა.

## მე-9 შრომის სკოლის კოოპერატივი.

მე-9 შრომის სკოლის კოოპერატივს 2 წლის ისტორია აქვს: სიმართლე უნდა ითქვას, რომ მან ამ ხნის განმავლობაში ბევრი კარგი რამის გაკეთება შესძლო. კოოპერატივი ღარიბ მოწაფეებს უფასოდ აძლევს წიგნებს, რვეულებს და სხვადასხვა სასკოლო ნივთებს. წინათ კვირაში ორჯერ, ეხლა კი ყოველდღიურად ეწყობა ცხელი საუზმეების დარიგება უფასოდ.

კოოპერატივის წევრთა უმრავლესობას შეადგენენ პიონერ-ოქტომბრელები, რაც ნათლად მოწმობს იმ გარემოებას, რომ ისინი უკვე გარკვეულნი არიან კოოპერატივის მიზნებში, მხოლოდ კოოპერატივი საჭიროებს ბინის გაფართოებას, რაც უნდა მოგვარდეს. ვუსურვოთ კოოპერატივს მომავალში უფრო ენერგიული და ჯანსაღი მუშაობა.

პიონერი **გოგი ლომიძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მიხომ გააგებინა.

ოქტომბერია. კვირას წყნარი და მზიანი დილა გათენდა, მოწმენდილი ამინდი იყო, მხოლოდ ჩრდილოეთით ცაზე გაფანტული ღრუბლები მოჩანდნენ. მზის სხივებს ის ვერას ვნებდა. ამიტომ ისინი ფანჯრიდან პატარა კლარას ტახტს ნელ-ნელა ეტუზებოდნენ სალერსოდ.

ოთახში, ფანჯრების გაღების გამო, ჰაერი უკვე გაწმენდილი იყო, ამიტომ მზის სხივები დარცხვენილი იყვნენ, ფიქრობდნენ: ,,ნეტავი მოგვესწრო, მტვრიან ოთახში შევპარულიყავით და დიასახლისი შეგვერცხვინაო''.

ამ დროს კლარას დედამ სასთუმალიდან ჟურნალი ,,ოქტომბრელი'' გამოიღო, რომელიც კლარას ჯერ არც კი დაეჭრა. დედამ იწყინა კლარას სიზარმაცე და დაუწყო გამოღვიძება, რომ მას ჟურნალი დილასვე დასვენებული გონებით წაეკითხა თავიდან ბოლომდე.

— კლარა.... კლარა.... კიდევ გძინავს?

— არა, დედა, მღვიძავს, მაგრამ ფანჯრებზე მეოფი ბუზების ცოდვა მტანჯავს. საწყლები, როგორ ფათურობენ ღონემიხდილები! შემოდგომის სუსხი მოხვდათ. საწყლები, როგორ ბზუიან, შველას თხოულობენ, მაგრამ ამაოდ.

— კლარა, გეყოფა, ადექი, დაიბანე ხელპირი, ისაუზმე და ეხლავე დაიწყე ,,ოქტომბრელი''-ს კითხვა, -- დაუმახა დედამ.— მხოლოდ არ წამოწვე, როგორც შენ იცი, და ისე არ იკითხო, წამოწოლილი კითხვა თვალებსა და ტვინს ვნებს. დაჯექი, მხარი და თავი სწორედ დაიჭირე და ისე იკითხე.

კლარამ ყველაფერი შეასრულა და დაიწყო ,,ოქტომბრელი''-ს კითხვა; როდესაც კითხვა დაასრულა, დაღლაც იგრძნო, წამოდგა, ოღონდ ტანვარჯიშობის წესები შეასრულა ისე, როგორც კითხვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყების წინ მოიქცა, და დაიწყო, თუ რომელი წერილი და ლექსი სიუფრო მოეწონა „ოქტომბრელი“-ს მეცხრე ნომერში.

— მია გიორგის ლექსი „პიონერის მოგონება“ კარგია. მია გიორგის ჩვენ, ბავშები, მალიან ვუყვარვართ. მია სუზმანიც გულკეთილია, ამიტომ მის „ლიონას“ თუკი სადმე ვნახავთ, ჩემს ამხანაგებს ვეტყვი მივეშველოთ და გავზარდოთ.

— „ოჰ, კომუნარი“. ოჰ, ნეტავი დიდი ვყოფილიყავი მაშინ, მაგრამ სჯობია მია ვალიკოს დავუჯეროთ და ჩვენ, ოქტომბრელებმა, მივიღოთ მონაწილეობა იმ მეგლის აშენებაში, ე. ი. მუშათა საქმისათვის ვიყოთ მზად.

მია ალიოს, კოწიას და ელიზბარს კი უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ყველა ნომერში არ გვიწერენ ლექსებს.

„ორი წლის იუბილეიიი“...—მოისმა კარებიდან ხმა, როცა კლარა მია მიშას თავის შთაბეჭდილებებს უზიარებდა. კლარას ცხვირწინ აეტუზა მისი რგოლის თავი მიხო.

— კლარა, სირცხვილი შენ, ჯერ არ წაგიკითხავს „ოქტომბრელი“! აი, დაიჭი „პიონერი“, უკვე საიუბილეო ნომერი გამოვიდა. ხომ გახსოვს კოლექტივში ამაზე მოხსენება?

კლარას სირცხვილით ყურის ბიბილოები და ლოყები შეუწითლდა, რადგან ეს საქმე მას დავიწყებული ჰქონდა, მაგრამ მაინც დადებითი პასუხი გასცა.

მიხომ კლარას დაუწყო ჟურნალის მომავალზე ლაპარაკი და ასე დაასრულა: თქვენ, ოქტომბრელებმა, ჩვენთან ერთად ხელი უნდა შეუწყოთ ყველა იმ ამოცანის შესრულებას, რომელსაც ჟურნალი „ოქტომბრელს“ და „პიონერს“ უსახავენ ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგები. აი, ამით ჟურნალსაც გავამაგრებთ და კარგი პიონერებიც გახდებით.

კლარა სიამოვნებით აქნევდა თავს თანხმობის ნიშნად და მოუთმენლად უცდიდა, რომ წაეკითხა „პიონერის“ საიუბილეო ნომერი.

ა—კ—ი.



# ჰაეროვანი სასახლე.

ნაპირის ახლო გუბეში თეთრი წყლის შროშანა ყვაოდა. ირგვლივ ხაჭაპურებივით დასცურავდა მისი სქელი დიდრონი ფოთლები. ერთ ფოთოლზე წყლის ობობა იჯდა და თბებოდა მზის გულზე.

ფოთლების ქვეშ დაფუსფუსებდა თავკომბალებისა და ჭარფლების გროვა. კოღოების მურები ცირკის მასხარებივით ყირა-ყირა გადადიოდენ წყალში.

ობობამ დაინახა ისინი და გაიფიქრა:

— ბლომა საკვები ჩანს, მოდი, აქ გავიკეთებ ჩემ ჰაეროვან სასახლეს.

და მაშინვე შეუდგა საქმეს. მიცოცდა ფოთლის კიდეზე და ისკუპა. წყალში ჩახტა თუ არა, მის ბეწვიან ტანს ჰაერის თხელი ფენი გადაეფარა და ვერცხლის წყალივით ლაპლაპი დაიწყო.

ობობა შეცურდა შროშანას ფოთლის ქვეშ, გამოარჩია სახლისთვის ადგილი, დაიბერტყა უკანა ფეხიდან ჰაერის პაწაწა ბურთი და მიაკრა ფოთოლს ქვეშიდან.

მთელი დღე შრომობდა ობობა, ამოტივტივდებოდა წყლის ზედაპირზე, დაიჭერდა ბურთივით თავისი ბანჯგვლიანი თათებით ჰაერის ბურთულებს, ჩასცურავდა ფურცლის ქვეშ და გაუშვებდა უკვე მიკრულ ბურთულებთან.

ბურთულები გაერთიანდენ, და ერთი დიდი ჰაეროვანი ბურთი გაკეთდა.

ფოთლის ქვეშიდან რომ არ გამომძვრალიყო ბურთი, ამიტომ ყოველი მხრიდან შემოაკრა მას თავისი მწებავი ქსოვილი, რომლის ბოლოები შრომანას ფოთლის ღეროს მიაწება.

შემდეგ თავისი ქსოვილისაგან დაწნა ბადე და ღეროებს შორის გასჭიმა, რომ თავკომბალები და ბუზები გაბმულიყვენ.

შემდეგ თვითონაც შეძვრა ფეხებიანად ბურთში და დაიძინა.

საუცხოვოდ გრძნობს თავს ობობა თავის წყალქვეშა ჰაეროვან სასახლეში. არის მშრალ ადგილას მოსვენებული. საჭირო არაა ყოველ წუთს გამოძვრეს ჰაერის ჩასაულაპავად.



ფრინველები დაფრინავენ მაღლა—ბურთს ვერ ხედავენ. თევზები თუმცა ხედავენ, მაგრამ არ იციან, რომ შიგ ობობა ბრძანდება.

ზის თავისთვის ობობა, ეძინება. უცებ რაღაცამ დასწია ჰაეროვანი სასახლე და დააზანზარა.

გამოჰყო თავი ობობამ ბურთიდან, ხედავს, რომ ვეება თავკომბალა გაბმულა კუდით ბადეში და, რაც ძალი და ღონე აქვს, ცდილობს თავი დააღწიოს ბადეს, მაგრამ კიდევ უფრო იხლართება შიგ.

გამოხტა ობობა გარეთ, უკბინა თავკომბალას პირდაპირ თავში, რომ გაჩერებულიყო, და შეათრია სასახლეში.

თავკომბალა დიდი იყო, ბურთში არ დაეტია, კუდი გარეთ დარჩა...

შეუდგა ობობა ვახშმობას. ჯერ თავიდან დაიწყო ჭამა.

მერე უცებ ეცა რაღაც კუდში თავკომბალას და ობობიანად გარეთ გამოათრია ბურთიდან.

კინაღამ მოკვდა ობობა შიშით.

თურმე თავკომბალა დიდმა თევზმა დაიჭირა და ობობიანად კინაღამ გადასანსლა.

ობობამ მიატოვა თავისი ვახშამი და მლივს მოასწრო შევარდნა თავის სახლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გადაულაპა თევზმა თავკომბალა, მიიხედ-მოიხედა ირგვლივ, დაჭყნოსა, იქნება კიდევ რამე არის გემრიელიო, მაგრამ ობობას ბუდე ვერ შეამჩნია და გაუდგა გზას.

გამოძვრა ობობა ჰაეროვანი სასახლიდან, შეაკეთა დაზიანებული ბადე და ისევ ჩასაფრდა.

დიდხანს არ დასჭირებია ლოდინი. ისევ საშინლად შეინძრა ჰაეროვანი სასახლე.

ისევ გამოჰყო თავი ბურთის კედელში ობობამ და დაინახა, რომ ახლა კოღოს ორი მური—მასხარები—გაბმულა.

აბარტყუნებენ კუდებს იქით-აქეთ, ზევით-ქვევით, მაგრამ აბა სად წავლენ.

ობობამ ერთბაშად გააფრთხობინა ორივეს სული და ბუდეში შეითრია. გამოსწუწნა წვენი და ცარიელი ქერქოები კედლიდან გარეთ გამოაგდო.

ყოველდღე იჭერდა ობობა კოღოების მურებს. ხანდახან თავკომბალებიც და თევზების პაწია ლისფიტებიც ებმებოდენ.

რაც იყო, იმაზე სამჯერ მეტად გასუქდა.

ყოველდღე უმატებდა თავის ჰაეროვან სასახლეს ჰაერის რამდენიმე ბურთულას, რომ ვიწროობა არ ეგრძნო.

დადგა შემოდგომა.

ხეები გაყვითლდა და ფოთლები ჩამოცვივდა.

წყალი თანდათან გაცივდა და ობობას ფეხები ეყინებოდა. საჭმლის შოვნა თანდათან ძნელდებოდა, მერე კიდევ დიდი უბედურება დაატყდა თავს: გასკდა შრომანას ფოთოლი სწორედ იმ ადგილას, სადაც ჰაეროვანი სახლის ჭერი იყო.

ჰაერის სახლი აშიშინდა და ამოვიდა ფოთლის ქვეშიდან. დარჩა ობობა ცივ წყალში უბინაოდ და ძლივს გამოძვრა თავისივე ქსელის ბადიდან. ამოცოცდა ფოთოლზე მზეზე გასათბობად, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ საღ არის მზე! ქარი ქრის, ცივი წვიმა თითქოს საცერიდან სცრისო, ასხამს. გასცურა ობობამ ნაპირისაკენ, უნდოდა სადმე ლერწამში შეეფარებინა თავი. ამოძვრა ნაპირზე. ძლივს ბობღვით წავიდა სილაზე. სულ გაიყინა. უცებ ხედავს, რაღაც ფრინველი მორბის მისკენ. ისე სწრაფად მოაბიჯებს, თითქოს გოგრებით მოგორავსო. შეშინდა ობობა. იცნო ღალღა, რომელიც ობობებით და მატლებით იკვებება. ირგვლივ კი არც ბუჩქი, არც ქვა, კენჭიც კი არ არის. არსად არ შეიძლება თავის შეფარება. წყალში ჩაყვინთოს—არ შეიძლება: ნაპირას წყალი პატარაა, ღალღა დაიჭერს თავისი გრძელი ნისკარტით.



ამ დროს დაინახა წყლის ლოკოკინას ცარიელი ხამანწკა. ძლივს მოასწრო ობობამ შიგ შეძვრომა და ღრმად ჩამალვა. გაექანა ღალღა და ისე მაგრად ეცა ნისკარტით ხამანწკას, რომ კინაღამ მოიტეხა ნისკარტი, მაგრამ ხამანწკა მაგარი იყო და ვერაფერი დააკლო. გადააგორა, გადმოაგორა ხამანწკა სილაზე, მიატოვა და გაიქცა ნაპირზე მატლების საძებრად.

მოეწონა ობობას ხამანწკაში ყოფნა: მშრალია, თბილი და ვერც ვერავინ შეძვრება შიგ.



მოიკრუნჩხა ობობა, შემოიკეცა ქვეშ ფეხები და დაიძინა. იძინებს მაგრად მთელი ზამთრის განმავლობაში, გაზაფხულზე კი გაიღვიძებს და ისევ ააშენებს წყალში ფოთლის ქვეშ ჰაეროვან სასახლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გასართობი

## ეშმაკი თაგვი.



ოჰო, ყველი, ჩემი საყვარელი ჰოლ[illegible]იური ყვე[illegible]ი.

რა საუცხოვოა, რა დიდი, რა საამო სუნი აქვს!

მშვენიერი ფერი აქვს, წითელი. ეტყობა, პირველი ხარისხის არის.



აბა, ვსინჯოთ. სწორედ პირველი ხარისხისაა, უკეთესი არ შეიძლება. ნამდვილად ბორჩალოშია გაკეთებული.

რა გემრიელია! დნება პირში. შიგნით გამოვხრავ, რომ ვერ შეატყონ. ტყუილად მოვცილცქნე გარედან რამდენიმე ადგილას.

ახლა გარეთ გავიხედო, რა ამბავია. შეხედეთ ერთი ამ ავაზაკს, ციცა კრუტუნას, აქ არ გაჩენილა! ვითომ სძინავს. ვიცით, ვიცით, ჩემო კარგო, შენი ოინები, ვერ მოგვატყუებ.



დაიცა, მე გაჩვენებ სეირს, ვნახავ, რა გულადი ბიჭიც ბრძანდები! ისე დავიმალები შიგ, რომ... თაგვი გაქანდა გამოხრულ ყველში დასამალავად, მაგრამ დახე საკვირველებას: გაქანდა თუ არა, ყველი გაგორდა და ეცა კატას ცხვირში. კატა წამოვარდა. ვუაი, ვუაი, რა ამბავია, საიდან გაჩნდა ეს საშინელი თავი? როგორ დაუჭყეტია თვალები, ვუაი!—დაიყვირა კატამ და მოკურცხლა.

თაგვი კი ყველში იცინოდა.

## № 7-ში მოთავსებული გამოცანების ახსნა.

1. უსურათო რებუსები: 1. გორი, 2. ღორი, ჯორი, 3. ლორი, 4. მორი, 5. ჭორი.
2. სახუმარო გამოცანა: შენი ჩრდილი.

## მე-8 ნომერში:

1. შარადა: სახედარი. 2. გამოცანა: ნამგალი.
3. ამოსაცნობი: მტკვარი
   " ტარი
   " სიმონ
   " კრაზანა
   " ორბი
   " ვარდი
   " იყავ მზად.

**მოსკოვი**

4. სახუმარო კითხვები: 1) სკა—მი. 2) თბილი—სი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 1929 წ.

გ ა მ ო ვ ა

საყმაწვილო დასურათებული ჟურნალები:

მცირეწლოვ. **„ოქტომბრელი"** ყოველ-თვიური **II წ.**

მოზრდილ. **„პიონერი"** ორკვი-რეული **IV წ.**

ხელმოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.

გადაგზავნით:
- „ოქტომბრელი" — ერთი წლით—3 მ. 50 კ.
  ნახევარი წლით—2 მ.
- „პ ი ო ნ ე რ ი" — ერთი წლით—6 მ.
  ნახევარი წლით—3 მ.

ცალკე ნომერი:
- „ოქტომბრელი" — 15 კაპ.
- „პ ი ო ნ ე რ ი" — 25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, № 22, სახელგამი (მეორე სართული). „ოქტომბრელის" და „პიონერის" რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—სახელგამი.